



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო განკარგულება №6/7

2017 წლის 27 თებერვალი

ქალაქი ფოთი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, მეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ საქართველოს ორგანული კანონის “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებას განეკუთვნება მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და ამ ორგანოების თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

ცნობად იქნას მიღებული ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, მეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ (ანგარიში თან ერთვის).

მუხლი 2.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, მეგლთა დაცვის, სკოლამდელი და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებთან ურთიერთობის სამსახურმა 2017 წლის აპრილის ბოლომდე წარმოადგინოს ინფორმაცია ქალაქ ფოთში, აღმაშენებლის ქუჩა №47-ში მდებარე ყოფილი ტელევიზიის შენობის მფლობელის შესახებ.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე თოფურია